საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იბნ ბიბი

იბნ ბიბი, XIII ს. II ნახ. სელჩუკიან სულთანთა კარის ისტორიკოსი, მან სპარს. ენაზე დაწერა საისტ. ხასიათის თხზულება: „უმაღლესი ბრძანებულებანი უდიდებულესი საქმეების შესახებ", „ქეთაბ ალ-ავამირ ალ-ალაია ფილ-ომურ ალ-ილაია" რ-საც („სელჩუკ-ნამე") („სელჩუკთა წიგნსაც") უწოდებენ. იგი დაწერილი უნდა იყოს XIII ს 80-იან წლებში.

ჩვენთვის საინტერესოა თხზულების ის ნაწილი, რ-შიც გადმოცემულია საყურადღებო ცნობები სულთან ალა ედ-დინ ქეიყუბადსა (1219–39) და საქართვ. მეფე რუსუდანს (1222–45) შორის არსებული ურთიერთობის შესახებ XIII ს. 30-იან წლებში. ი.-ბ-ის ცნობით, რ-საც რუსუდანმა გაიგო სელჩუკთა ლაშქრის საქართველოში შემოჭრის ამბავი, სელჩუკთა მხედართმთავარ ქამიართან მოციქულები გაგზავნა და მოლაპარაკება შესთავაზა. „ჩვენი სურვილია, ჩემი ასული, სელჩუკიანთა ქვეყნის გამგებლის მემკვიდრეზე–მელიქ ყიას ად-დინ ქეიხუსრევზე დაქორწინდეს" – წერდა დედოფალი. ი.-ბ. შენიშნავს, რომ ქამიარმა რუსუდან დედოფლის წინადადება და კავკასიის განთქმული მტკიცე ციხეებიდან 30-40 ციხის დაპყრობის ამბავი აცნობა სულთანს და თან დედაქალაქში მდიდარი ნადავლი გაგზავნა. სულთანმა ქამიარს შეატყობინა, რომ იგი თანახმა იყო რუსუდან დედოფლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე – მშვიდობიანი ურთიერთობისა და დანათესავების შესახებ – და აუწყებდა, რომ აღარ გააგრძელებდა თავდასხმებს საქართველოს ტერიტორიაზე.

ი.-ბ-ის ცნობები ახლებურად აშუქებს ამ პერიოდის საქართველოსა და მცირე აზიის სელჩუკების ურთიერთობის ცალკეულ საკითხებს.

ლიტ.: შ ე ნ გ ე ლ ი ა ნ., იბნ-ბიბი ალა ედ-დინ ქეიყუბადის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, «მაცნე», 1975, № 1; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979.

ნ. შენგელია